ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 259 (21005) — ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

მეცნიერთა წვლილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი ამ პროფილის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა რესპუბლიკაში. აქ წარმოებს როგორც ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევები მეტალურგიის დარგში, ასევე გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები სხვადასხვა საწარმოსათვის. ამიტომ თავის საქმიანობას ინსტიტუტი წარმართავს ძირითადად მეტალურგიული პროცესების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების, მეტალურგიული ნედლეულის შეხსნადობისა და რაციონალური გამოყენების, მეტალურგიული გადამუშავების არსებული პროცესების სრულყოფის, ახალი ლითონური მასალებისა და ფხვნილების მიღების მიმართულებით. ინსტიტუტის კოლექტივი ოლვწის რესპუბლიკაში მეტალურგიული მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარებისათვის, ხელს უწყობს ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიური პროცესებისა და ლითონური მასალების შექმნას და სახალხო მეურნეობაში დანერგვის საქმეს.

ინსტიტუტში დიდი ყურადღება ეთმობა მაღალი სამუშაო თვისებების მქონე ახალი ლითონური მასალების, კერძოდ ეკონომიურად ლეგირებული, დაბალ, (-178° C) ტემპერატურაზე მომუშავე ეგრეთ წოდებული კრიოგენული, უანგავი ფოლადების შექმნის საკითხებს. რკინა-ქრომ-მანგანუმის ლითონური სისტემის შენადნობების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა კვლევის საფუძველზე შემუშავებულია ოპტიმალური შემადგენლობის მთელი რიგი უნიკალურ და მცირენიკელიანი უანგავი ფოლადები, რომელთა სიახლე დადასტურებულია შესაბამისი საავტორო მოწმობებით. მათი სიმტკიცის ზღვარი აზოტის შეყვანის შემწეობით თითქმის ორჯერ აღემატება ცნობილი უანგავი ქრომ-ნიკელიანი ფოლადების სიმტკიცის ზღვარს. შემუშავებული ფოლადების მაღალი სიმტკიცე, ნიკელის ეკონომიასთან ერთად, უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში გამოყენებისას, როგორიცაა კრიოგენული, ქიმიური, ელექტროტექნიკური, სამთო მანქანათმშენებლობა და ნავთობის მრეწველობა.

კარგი საექსპლოატაციო მაჩვენებლების მქონე ნაკეთობათა შექმნა დაკავშირებულია ხაწყის მასალებად ოპტიმალური დისპერსობის, მორფოლოგიის, რეგულირებადი შედგენილობისა და ხალასი ლითონებისა და არალითონური ფხვნილების, მათ შორის კომპოზიციური ფხვნილების მიღებასთან და გამოყენებასთან. ინსტიტუტთან არსებული ფხვნილოვანი მეტალურგიისა და ფხვნილოვანი დანაფარების რესპუბლიკურ სამეცნიერო ცენტრში მიმდინარეობს ლითონების, ნაერთების და კომპოზიციური მასალების ფხვნილების მიღებისა და ნაკეთობათა წარმოების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება... იკვლევენ მიღებული პროდუქტების ტექნოლოგიურ და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და სხვა. გამოკვლევების შედეგად შემუშავებულია მთელი რიგი ახალი მხურვალე და კოროზიამდეგი ფხვნილების მიღების, ნაკეთობათა და დანაფარების დამზადების რესურსდამზოგავი, ეკოლოგიურად სუფთა, უნარჩენო მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მიენიჭა დამოუკიდებლობის სტატუსი, განესაზღვრა ფუნდამენტური გამოკვლევათა მიზნობრივი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ვიმედოვნებთ, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მეცნიერული გამოკვლევების შემდგომ გაფართოება-გაღრმავებას და მნიშვნელოვნად გაზრდის მეცნიერული საქმიანობის ეფექტიანობას.

• • •

სურათებზე: ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ვახტანგ გაბუნია და ვაჟა ფურჭავა სწავლობენ ლითონური ფხვნილების გრანულომეტრულ შემადგენლობას; მეცნიერი თანამშრომელი მარინე მაღლაკელიძე იკვლევს ლითონის სტრუქტურას.

თ. ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

ჭოპორტას ყველაფერი აქვს

ჭოპორტა დუშეთის რაიონის არაგვისპირა სოფელია, მაგრამ აქვეა, თბილისიდან სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე. განსაკუთრებული გემოთი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან განთქმულია აქაური ხილი და ბოსტნეული. დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში დიასახლისები ჭოპორტის პამიდორს დაეძებენ ხოლმე. ზოგჯერ გლეხები ეშმაკობენ და ტყუილადაც იძახიან, აბა, აქეთ, ჭოპორტის პამიდორიაო, და თქვენ წარმოიდგინეთ, მუშტარს იზიდავენ. მიამიტი მყიდველი ხშირად ტყუვდება.

ჭოპორტის საბჭოთა მეურნეობა მევენახეობა-მეხილეობის მიმართულებისაა. მაგრამ აქვე განვითარებულია მებოსტნეობა და მეცხოველეობა. ამ მეურნეობაში 12 სოფელი შედის. უფრო მოზრდილი სოფლებია თავად ჭოპორტა, ლაფანანთკარი, წოთელისოფელი, აბანოსხევი და ახატანი. მიუხედავად სოფლების სიმრავლისა, ჭოპორტის საბჭოთა მეურნეობას არც ისე ვრცელი სავარგულები აქვს. სახნავი სულ 857 ჰექტარია, სათიბები 184 ჰექტარზეა გაშლილი. მრავალწლოვან ნარგავებს 166 ჰექტარი უჭირავს და აქედან ნახევარზე მეტი ვენახია.

ჰყავთ 660 სული საქონელი, მათ შორის 160 მეწველი ძროხაა. ფერმებში 340 სული ღორია, თითქმის 9 ათასი სული ცხვარი. როგორც ვხედავთ, მეურნეობა არცთუ ისე დიდია, მაგრამ თავის წილად ყველაფერი აქვს. შემოსავლის დიდ ნაწილს ჭოპორტელებს მეცხვარეობა აძლევს, მოგებაც ყველაზე სოლიდური ამ დარგიდან მოდის — 240 ათასი მანეთი. მევენახეობის მოგება 92 ათასი მანეთია. შარშან მეურნეობის მთელი შემოსავალი 1 მილიონ 795 ათას მანეთს აჭარბებდა, ხოლო მოგება 306 ათასი მანეთი იყო. როგორც ვარაუდობენ, წლევანდელი შემოსავალიც მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება. იქნებ ვინმეს ეცოტავოს კიდეც, მაგრამ დუშეთის რაიონში ბევრი როდია სოფელი, რომელსაც სახელმწიფოსი მანეთიც არ ეშარიოს და ბარე 7-8 წელიწადია, ყოველ სამეურნეო წელს მოგებით ამთავრებდეს. მოიჯარეთა შრომამ ჭოპორტაშიც გაჭმიღო შესაფერისი ნაყოფი. აქ თამამად ლაპარაკობენ მერაბ და ზაურ სამადლიშვილების, რომან წითურისა და სხვათა შრომითს მიღწევებზე. წელს კარგი მოსავალი მიიღეს მევენახე მოიჯარეებმა მაყვალა თგიშვილმა, ნაზი ძენიაურმა, ლიანა დათუაშვილმა, დავით კოზმანაშვილმა, ვასილ ამირიძემ...

ჭოპორტაში მოიჯარენი ისინიც კი გახდნენ, ვინც წინათ ფიზიკურად სულაც არ მუშაობდა. მათ შორის არიან მეურნეობის მშენებლობისა და უსაფრთხოების ინჟინერები ვილი ლანდურიშვილი და ედიშერ დავითაშვილი, მეურნეობის ზოოტექნიკოსი კობა კოზმანაშვილი, რომელიც ახლახან ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში გადავიდა სამუშაოდ. მაგრამ მოიჯარეობას განაგრძობს. მოიჯარეა მეურნეობის საწყობის გამგე დოდო სეთურიძე. საწყობის გამგე ქალი და ისიც მოიჯარე, ალბათ, იშვიათია. გამოჭე ქალია ქალბატონი დოდო, მისი გარჯა ამ შემოდგომასაც მშვენივრად ეტყობოდა სიმინდის ყანას თუ ვინახს.

წლევანდელ ადრიან გაზაფხულზე თავად ვნახეთ, თუ მოიჯარეთა შორის როგორ ტრიალებდა მეურნეობის დირექტორი ვასილ კოზმანაშვილი. იგი ვაზს სხლავდა და გარდა იმისა, რომ საქმეს ხარისხიანად აკეთებდა, ახალგაზრდებს შრომის საუკეთესო მაგალითს აძლევდა.

როცა ჭოპორტელ მშრომელებზე ელაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით მოიჯარე მეცხვარეების შრომას. მეცხვარეობის ფერმას სათავეში უდგას ვლადიმერ ყორბესაშვილი. ეს გვარი და სახელი ჩვენს მკითხველს აქნებ ვერაფერს ეუბნება, მაგრამ კასპიისპირეთში, სადაც საქართველოს ხუთი რაიონის ცხვარი და ვინ იცის კიდევ სადაური ცხვარ-მეცხვარენი არ იზამთრებენ, პირდაპირ ქუხს ვლადიმერ ყორბესაშვილის სახელი. ოღონდაც, ჭოპორტელი მეცხვარეები მისი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად 100 ნერბზე 96-97 ბატკანს იღებენ და ინარჩუნებენ, ერთ ცხვარზე საშუალოდ 3 კილოგრამამდე მატყლს აპრსავენ, გეგმა კი 85 ბატკნის მიღებას ითვალისწინებს, ხოლო მატყლი ყოველ ცხვარზე 2 კილოგრამი და 300 გრამი უნდა გაპარსონ. რაკი გეგმებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, ჭოპორტელებს მარტო მეცხვარეობა 240 ათას მანეთ მოგებას აძლევს. სამწუხაროა, რომ ჭოპორტელებს სულ 9 ათას სულამდე ცხვარი ჰყავთ. რას იზამ, მეტს ვერ იყოლიებენ, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ საძოვარი უჭირთ. აქ, მთაშიც და შორეულ კასპიისპირეთშიც. აქ, „ბაჯიგანზე", ბინები კი კარგი გააკეთეს ცხვრისთვისაც და მეცხვარეებისთვისაც, მაგრამ საძოვრები ცოტა აქვთ. ყოველი ცხვრისათვის თითო ჰექტარი საძოვრია გათვალისწინებული. ჭოპორტელები კი კასპიისპირეთში სულ 5 ათას ჰექტარ საძოვარს ფლობენ. ასე რომ, ფართობი 2-3 ჯერ მეტად არის დატვირთული.

როდესაც ვლადიმერ ყორბესაშვილს ვთხოვეთ, აეხსნა თავისი ფერმის წარმატებათა საიდუმლო, მან ეს ითქა ახსნა, რომ 50-ვე მეცხვარე ადგილობრივია. მათ არა უშაოდ, მაგრამ მოიჯარეობას განაგრძობს. მოიჯარეა მეურნეობის სანოვაგე ფერმის გამგე ალეკო ...ი. სულ ერთიმეორის ახლობლები და მეგობრები არიან. [illegible] ჯილაგი არ ურევიათ, [illegible] ერთგულება უფრო მყარი აქვთ. ამიტომაც არის, მთელ კასპიისპირეთში ჭოპორტელ მეცხვარეებს შრომითს შედეგებში ვერავინ სჯობნის. ისე მეურნეობის დირექტორებისაგან ხშირად გვსმენია ვლადიმერ ყორბესაშვილისთანა ფერმის გამგე რომ გვაყვედეს, ჩვენც კარგი შედეგები გვექნებოდაო. ამას ენა ადვილად იტყვის, თუმც, ყორბესაშვილისთანა ცხვარ-მეცხვარის ამბის მცოდნე და მოამაგე ბევრნი არა, მაგრამ სხვებიც არიან. უბრალოდ, საჭიროა ასეთი ადამიანების მოძებნა და მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მიცემა. ფერმის გამგის აზრით, მათი წარმატებების მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ მეცხვარეებმა იჯარას გემო გაუგეს. თავდაპირველად თითქოს ჯირდა იმის გააზრება, თუ რა ფორმით უნდა შემოეღოთ იჯარა მეცხვარეობაში. ახლა, რაკი მწყემსებმა იციან, რომ თვითდაფინანსებაზე არიან და ყოველი დაკარგული გრამი მატყლი თუ ბატკნის ყური ყველას ერთნაირად აკლდება, საქმეს ერთობ გულისყურითა და ამგვარ ეკიდებიან.

ჭოპორტის მეურნეობის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, მეცხვარეთა წარმატებებში ვლადიმერ ყორბესაშვილს უდიდესი წილი უდევსო. ფერმის გამგის გამჭრიახობა და საქმის ცოდნა ცხვარ-მეცხვარეთა ყოველდღიური ყოფის ათას წვრილმანში მეღვენება და საქმეს კარგად ადგება. აი წლეულსაც, ჭოპორტელმა მეცხვარეებმა ხომ ყველაზე ადრე გასწიეს კასპიისპირეთისაკენ, მათ შემდეგ კარგა გვიან წასულები უკვე რა ხანია თავიანთ ბინებზე დაბინავდნენ, ჭოპორტელებს კი „ბაჯიგანამდე" ბარე 100 კილომეტრი დარჩათ გასავლელი, ისინი ჯერ „იშორის ბურნებში" ტრიალებენ, ცხვარს იქ აძოვებენ და თავიანთ ზამთრის საძოვრებს იზოგავენ. ერთი შეხედვით ხომ უბრალო ხერხია. ამით ჭოპორტელი მეცხვარეები იმის წინამძღვარს ქმნიან, რომ პირუტყვს უდანაკარგოდ გამოაზამთრებენ, თავიანთ მცირე საძოვრებს იკმარებენ და გათვალისწინებულ 4400 სულ ბატკანს მიიღებენ და გამოზრდიან კიდევაც.

ერთი სიტყვით, ჭოპორტის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები გონივრულად ირჯებიან და არც ბედს ემდურიან.

ჯემალ ქურხული.

ვიმოქმედოთ თანმიმდევრულად

თელავის სამკერვალო ფაბრიკა რაიონის ერთ-ერთი დიდი საწარმოა. მიუხედავად მრავალი სირთულისა, მისი კოლექტივი არც თუ ცუდად არმუშავს თავს დავალებებს. განვლილ რვა თვეში გამოშვებულია 13.210 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოგებისა და სხვა დავალებები. ბოლო წლებში გაიზარდა მუშათა ხელფასი, გაუმჯობესდა მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ მთლიანი კმაყოფილება სუფევდეს მუყაით კოლექტივში. ეს დაადასტურა აქ ჩატარებულმა პარტიული კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის განხილვას მიეძღვნა.

პროგრამის განმსაზღვრელ დებულებებს ჩვენ ჯერ კიდევ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არშემდგარი არჩევნების წინა პერიოდში გავეცანით, თქვა თავის გამოსვლაში ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანმა გენო ჩუბინიძემ. ასე რომ, კომუნისტებს საარჩევნო პლატფორმის გასაცნობად და განსახილველად საკმაოზე მეტი დრო გვქონდა. აზრი ერთია: პროგრამა მრავალ მისაღებ დებულებას შეიცავს, მთავარია მათი თანმიმდევრული განხორციელება.

პარტიული კომიტეტის სხდომის მონაწილეთა საერთო აზრით, კომპარტია მრავალჯერ გამოსულა სწორი მოსაზრებების შემცველი დოკუმენტებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ან საერთოდ არ სრულდებოდა, ანდა — სანახევროდ, ყოველივე ამის გამო რწმენა პარტიისადმი მეტად შერყეულია. თვით განსახილველ პროგრამაშიც ბოლომდე არ ჩანს დამოკიდებულება იმ ძირეულ საკითხებისადმი, რომლებიც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წამოჭრა. დოკუმენტში ლაპარაკია ეროვნულ საჯარისო ფორმირებების შექმნაზე, მაგრამ გაურკვეელია მათი როლი და ფუნქცია: იარსებებენ ისინი ამჟამად რესპუბლიკაში მყოფ საკავშირო შენაერთების გვერდით თუ დამოუკიდებლად გადაწყვეტენ საქართველოს საკითხებს? ეს და სხვა მრავალი კითხვა იბადება პროგრამის განხილვისას.

ერთ-ერთი მთავგანია, თქვა თავის გამოსვლაში ფაბრიკის მთავარმა ეკონომისტმა იზა სამადაშვილმა, რა გზით ვაპირებთ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას და მეწარმეთა დამოუკიდებლობას.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლოდროინდელი ზრდა, მისთვის საგანგებო უფლებების მინიჭება იმის მაუწყებელია, რომ სულ მცირე ორი წლით გაგრძელდება ზემოდან კარნახის ადრინდელი პრაქტიკა. სამეურნეო ანგარიშზე გადასულმა საწარმომ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია, ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ ბოლოდროინდელი საკანონმდებლო აქტები თუ ინსტრუქციები სერიოზულ შეფერხებად იქცა წინსვლის გზაზე.

სხდომაზე ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოიყვანეს. მართალია საწარმოს მნიშვნელოვანი მოგება რჩება, მაგრამ ყოველწლიურად მუშათა ანაზღაურების მხოლოდ სამი პროცენტით გაზრდაა შესაძლებელი. უფრო მეტი ზრდის შემთხვევაში ძალაში შედის ეკონომიკური სანქციები, რაც ძმიმე ტვირთად დაწვება საწარმოს. განუზომლად გაიზარდა სოცდაზღვევაში ანარიცხები და ისინი ამჟამად 37 პროცენტს უდრის და ხელფასის 13 პროცენტს შეადგენს. საშემოსავლო გადასახადი. თუ სასურსათო და არასასურსათო საქონლის დეფიციტსაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება მუშის გასაჭირი, რომლის თვიური ხელფასი 200 მანეთია.

საწარმოს პარტიული კომიტეტის წევრებმა ცირა ჯანიშვილმა, ნინო თუშიაშვილმა, მანანა ამირიძემ და სხვებმა, ყოველი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მხარი დაუჭირეს სხდომაზე გამოთქმულ აზრს, რომ დღეს ამათუიმ პარტიის რეალური ადგილი, მრავალპარტიული სისტემაში განსაზღვრება მისი სურვილით და უნარით მიეყვანოს საქართველო მთავარ მიზნამდე — სრულ დამოუკიდებლობამდე. ამის გარეშე, კარგად ნათქვამი სიტყვა, შეიძლება მხოლოდ სიტყვად დარჩეს. ამიტომ პროგრამაში გამოადებული მიზნების მისაღწევად საჭიროა მოქმედი ტაქტიკა, ყოველდღიური და თანმიმდევრული მუშაობა ადგილებზეც და ყველა დონის ხელმძღვანელ ორგანოებში.

ზურაბ არსენიშვილი.
„კომუნისტის" საკ. კორ.

საგაზრო შრომიერთობაზე გადასვლისათვის

დღეს კაპიტალური მშენებლობა პრაქტიკულად ისევე რთულად ვითარდება, როგორც ეკონომიკის სხვა დარგები. მიღებული ზომების, ბოლო დროს მშენებლობისათვის გაწეული საფინანსო დახმარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა მიუხედავად მდგომარეობა დარჩა კვლავ დაძაბულია. მშენებლობა მოწრნავე ნაწილი აქტიურად იღვწის, მაგრამ რადიკალური ცვლილება მაინც არ ჩანს.

წარსულის შეცდომების ტვირთი, ფინანსური სიძნელეების შედეგები დღესაც იჩენს თავს, თუმცა არ შეიძლება ყველაფერი წარსულს დავაბრალოთ, არის მნიშვნელოვანი ხარვეზები, მოისულტებს საშენებლო საქმის ორგანიზაცია როგორც საშენებლო მოედანზე, ისე სხვადასხვა გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში. ჩაიშალა „ბინა-2000" ეროვნული პროგრამა. შექმნილი მდგომარეობის მთავარი მიზეზია ჩამორჩენა საშენებლო ბაზის განვითარებაში, ხელს გვიშლის სხვადასხვა მომწოდებლისაგან საშენი მასალების მიუღებლობა, რესპუბლიკას დაკარგეს ასობით ტონა ცემენტი, სილა, ღორღი, წიდა, მოზაიკა და სხვა.

ასეთ სიტუაციაში მართლაც ძნელია საქმე წინ წასწიო და შენი ხელი დაატყო წარმოების განვითარებას, როგორც ეს ერთ-ერთ საშენებლო ორგანიზაციაში ხდება.

საწარმოო-სამშენებლო ტრესტი „თბილისრემშენი" სულ ორიოდე თვეა სარემონტო-სამშენებლო და სამრეწველო საწარმოთა ასოციაციად გადაკეთდა, მისი პრეზიდენტი გივი კვიჭიძე ძველი, გამოცდილი მშენებელია და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ ყველა სიძნელე, რომელიც ასოციაციის მუშაობაში წარმოიქმნება, ჭკვიანურად წყდება. შეიქმნა ასოციაცია. მაინც რა უპირატესობა ენიჭება მას? საქმე ის გახლავთ, რომ გაერთიანდნენ არა მარტო სამშენებლო, არამედ აგრეთვე ამ პროფილის სხვა ორგანიზაციები, მათი მიზანსწრაფვა საერთოა და ერთურთის გამართულ საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული სხვა კულტურულ და სოციალურ ობიექტებს. მუშაობის ახალ პირობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება მოგება, თუ აქამდე სახელმწიფოს მოგების 80 პროცენტზე მეტი მიჰქონდა, მომავალი წლიდან ეს ციფრი განახევრდება. აქ დასაქმებული მშენებლები ცდილობენ ნაკლები დახარჯვით მიიღწიონ სასურველ შედეგს, რაც ასოციაციას საშუალებას მისცემს დახარჯების შემდეგ დარჩენილი თანხა თავისი შეხედულებისაებრ გამოიყენოს. შეიქმნა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრეთვე სოციალური განვითარების და შრომის ანაზღაურების განვითარების ფონდები.

დასახელებული ორი ფონდი უშუალოდ ამ კოლექტივში დასაქმებულ ადამიანებს ხმარდება. მნიშვნელოვნად მოიმატებს როგორც ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ისე თითოეული მუშა-მოსამსახურის ხელფასი. ასოციაციაში ჩამორჩენილი უბანი არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომწოდებელი ორგანიზაციები, როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი, პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ყოველივე ამაში დიდ როლს ასრულებს ასოციაციის პრეზიდენტის გივი კვიჭიძის ცოდნა, მისი დიდი გამოცდილება. უნარი და აუტორიტეტი. ყოველივე ეს მან დამსახურებულად, დაუღალავი შრომითა და დიდი ძალისხმევით მოიპოვა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1986 წელს, როდესაც იგი „თბილისრემშენის" უფროსად გადმოიყვანეს, ამ ორგანიზაციის წლიური სამუშაო მოცულობა მხოლოდ 13 მილიონ მანეთს შეადგენდა, დღეისათვის კი ამ ციფრმა 30 მილიონ მანეთს მიაღწია. წინსვლაზე ფაქტები მეტყველებენ, ასე რომ, ბევრს ნიშავს ხელმძღვანელის ძალა, მისი ავტორიტეტი, საზრიანობა მუშაობაში. შესაძლოა ეს გასაკვირი არც იყოს, რადგან იგი ჭაბუკობიდანვე მშენებლობის დარგს ემსახურება და, რომ იტყვიან, მისი ავან-ჩავანი კარგად ეოეხსენება. იქნებ, მკითხველს გაახსენდეს თბილისის ყოფილი მე-14 საშენებლო ტრესტის წარმატებები, მერე „თბილისქალაქმშენში", მისი დაუღალავი საქმიანობა. გულმართალ რომ ვთქვა, ამ ფაქტების აღნიშნვას არც ვაპირებდი, მაგრამ ხომ არ შეიძლება ადამიანებს ამაგი წყალში ჩაუყაროთ და მცირეოდენი საქებარი არ ვთქვათ იმაზე, რასაც შეიძლება ცალკე საგაზეთო სტატია დაეთმოს, თუმცა ეს მომავლისთვის გადავდოთ. ამ ამბის მოკლე რეზიუმე კი ის გახლავთ, რომ მეპურემეპური უნდა გამოაცხოს, რაც ჩვენში წლების მანძილზე ხშირად უსამართლოდ ირღვეოდა, ამის მწარე შედეგს დღეს თითოეული ჩვენგანი კარგად ხედავს. კაცის უმიზეზოდ ათვალწუნებამ, პროფესიონალიზმის დაუფასებლობამ, ადამიანის გარჯის დაუფასებლობამ, დაუნახაობამ მძიმე შედეგამდე მიგვიყვანა და ახლა გვიჭირს შეცდომების გამოსწორება.

დიახ, ასოციაცია, სახელმწიფო დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს, თუმცა ეს ფრაზა მოდაში აღარ არის. და მაინც, მნახველს ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს თბილისში ჩხეიძის ქუჩა № 2 ლამაზი შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სტომატოლოგიური პოლიკლინიკები ლესელიძის ქუჩაზე და ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ძველი აღდგენილი შენობების ფასადები, გამშვენიერებული ფილარმონიის ბალი, რკინიგზელთა სახლი, აღდგენილი შადრევნები, რუსთაველის პროსპექტზე ჩამოვლილი უთუოდ შენიშნავს ჭაშუეთის ეკლესიასთან მიმდინარე გაფართოების სამუშაოებს და სხვა. ასოციაციაში შემავალი სამშენებლო ორგანიზაციები ცდილობენ თავიანთი ხელი დაატყონ თბილისს, ღირსეულად აკეთონ თავიანთი საქმე, გაახარონ დედაქალაქის მშრომელები.

ლალი ჟინჟლაძე.

ინარიანი ხელმძღვანელობით

ნებებსა და ორგანიზაციებში. ჩაიშალა „ბინა-2000" ეროვნული პროგრამა. შექმნილი მდგომარეობის მთავარი მიზეზია ჩამორჩენა სამშენებლო ბაზის განვითარებაში, ხელს გვიშლის სხვადასხვა მომწოდებლისაგან საშენი მასალების მიუღებლობა, რესპუბლიკას დაკარგეს ასობით ტონა ცემენტი, სილა, ღორღი, წიდა, მოზაიკა და სხვა.

ასეთ სიტუაციაში მართლაც ძნელია საქმე წინ წასწიო და შენი ხელი დაატყო წარმოების განვითარებას, როგორც ეს ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში ხდება.

საწარმოო-სამშენებლო ტრესტი „თბილისრემშენი" სულ ორიოდე თვეა სარემონტო-სამშენებლო და სამრეწველო საწარმოთა ასოციაციად გადაკეთდა, მისი პრეზიდენტი გივი კვიჭიძე ძველი, გამოცდილი მშენებელია და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ ყველა სიძნელე, რომელიც ასოციაციის მუშაობაში წარმოიქმნება, ჭკვიანურად წყდება. შეიქმნა ასოციაცია. მაინც რა უპირატესობა ენიჭება მას? საქმე ის გახლავთ, რომ გაერთიანდნენ არა მარტო სამშენებლო, არამედ აგრეთვე ამ პროფილის სხვა ორგანიზაციები, მათი მიზანსწრაფვა საერთოა და ერთურთის გამართულ საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული სხვა კულტურულ და სოციალურ ობიექტებს. მუშაობის ახალ პირობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება მოგება, თუ აქამდე სახელმწიფოს მოგების 80 პროცენტზე მეტი მიჰქონდა, მომავალი წლიდან ეს ციფრი განახევრდება. აქ დასაქმებული მშენებლები ცდილობენ ნაკლები დახარჯვით მიიღწიონ სასურველ შედეგს, რაც ასოციაციას საშუალებას მისცემს დახარჯების შემდეგ დარჩენილი თანხა თავისი შეხედულებისაებრ გამოიყენოს. შეიქმნა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრეთვე სოციალური განვითარების და შრომის ანაზღაურების განვითარების ფონდები.

დასახელებული ორი ფონდი უშუალოდ ამ კოლექტივში დასაქმებულ ადამიანებს ხმარდება. მნიშვნელოვნად მოიმატებს როგორც ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ისე თითოეული მუშა-მოსამსახურის ხელფასი. ასოციაციაში ჩამორჩენილი უბანი არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომწოდებელი ორგანიზაციები, როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი, პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ყოველივე ამაში დიდ როლს ასრულებს ასოციაციის პრეზიდენტის გივი კვიჭიძის ცოდნა, მისი დიდი გამოცდილება. უნარი და აუტორიტეტი. ყოველივე ეს მან დამსახურებულად, და-

თბილისი: სადაგი დღეები

ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო წლევანდელი 7 ნოემბერი საქართველოს დედაქალაქში. არ გამართულა არც სახეიმო კრება, არც მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. ამჯერად არ ყოფილა არც ადგილობრივ ხელისუფალთა სახელმძღვანელო მითითებანი ოქტომბრის მორიგი წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის პროგრამის თაობაზე, ოქტომბრისა, რომლის შეფასება, როგორც ცოვრება გვიჩვენებს, ერთიზულ რეალურ ისტორიული მოვლენის, აღნიშვნა, რომელსაც სიკეთე და ბედნიერება არ მოუტანია მშრომელებისათვის, მათი ეროვნული კუთვნილებისა თუ სოციალური წარმოშობის მიუხედავად, მით უმეტეს ანექსირებული საქართველოს მოსახლეობისათვის, ამ განცხადებას მბარი დაუჭირეს შრომითმა კოლექტივებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო"

დეკლარაცია

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო პროფკავშირების დაქვემდებარებაში შემავალი კურორტების, ტურიზმის, სასპორტო და სხვა ობიექტების საქართველოს პროფკავშირების კუთვნილებად გამოცხადების შესახებ

ასორციელებს რა 1990 წლის იანვარში მიღებულ კონცეფციას, დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს პროფკავშირების, როგორც საქართველოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დამცველი მძლავრი ორგანიზაციის, ჩამოყალიბებისათვის.

კონფედერაციის წევრი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, მოიპოვა რა სრული დამოუკიდებლობა საკავშირო თუ ადგილობრივი მმართველობითი ორგანიზაციებისაგან, იგი პირდაპირ კონტაქტებს ამყარებს სხვადასხვა ქვეყნებთან როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ისე მის გარეთ. შექმნილია საერთაშორისო პროგრესულ პროფმოძრაობაში მისი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მონაწილეობის რეალური წანამძღვარი, რაც კიდევ ერთ მძლავრ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დაცვის საქმეში.

განხორციელდა კონსტრუქციული ღონისძიებები საქართველოს ძირითადი სიმდიდრის — კურორტების რესპუბლიკის მშრომელთა, სახელმწიფო ინტერესების სამსახურში ჩაყენებისათვის. შეიქმნა საკავშირო სტრუქტურებისაგან დამოუკიდებელი სამშენებლო-სარემონტო ბაზა. რესპუბლიკის გამგებლობაში იქნა დატოვებული დასასვენებელ საგზურთა ის რაოდენობა, რომელიც მისი მოსახლეობის მოთხოვნის სრული დაკმაყოფილებისათვის არის საჭირო, ხოლო ნაწილი — გაცვლის წესით, პარტნიორული მოლაპარაკების საფუძველზე მიეცემა სხვა რესპუბლიკებს.

ჩამოყალიბდა სპორტისა და ტურიზმის მართვის სტრუქტურები, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებლად არსებობისა და საქმიანობის უნარი.

მომდინარე წლის ოქტომბერში პრაქტიკულად დასრულდა ორთვიანი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ პროფკავშირულ საკუთრებაზე პრეტენზიების გარკვევის მიზნით. საგულისხმოა ბალტიისპირა რესპუბლიკების მხარდაჭერა და მათთან ერთად სხვა რესპუბლიკების მზადყოფნა, პირდაპირი კონტაქტებით ითანამშრომლონ ტურიზმის, გაჯანსაღებისა და სპორტის პროფკავშირული საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.

ასეთ პირობებში საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია, აქვს რა სრული იურიდიული საფუძველი და ორგანიზაციული შესაძლებლობანი, საქართველოს მშრომელთა, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ინტერესების, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების, ტურიზმის და სპორტის მართვის მრომითი კოლექტივების მხარდაჭერის გათვალისწინებით, რესპუბლიკის მშრომელთა გაჯანსაღების და დასვენების, შემდგომი განვითარებისა და ბაზების საქართველოს ქონების განუყოფელ ნაწ

ქამი დიდი არჩევანისა

ბევრის ხიდზეც უნდა გავიარეთ...



როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 1990 წლის 11 ნოემბერს გაიმართება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა და არჩევნების მეორე ტური იმ ოლქებში, სადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების ნახევარზე მეტი ან არჩევნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები მონაწილეობდა.

არჩევნების მეორე ტურში საქართველოს კომპარტიისაგან მონაწილეობას მიიღებს კიდევ ორმოცზე მეტი დეპუტატობის კანდიდატი. ესენი არიან თავიანთი შრომითი საქმიანობითა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანები.

დღეს გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროორექტორს, პროფესორ **დავით ტვილდიანს.** იგი დაიბადა 1930 წლის 14 თებერვალს ლენტეხის რაიონის სოფელ რცხმელურში, გლეხის ოჯახში. 1948 წელს ლენტეხის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, როგორც მედალოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა ასპირანტურაში განაგრძო და მუშაობა დაიწყო ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ — განყოფილების გამგედ. 1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, იმავე პერიოდში სამეცნიერო მივლინებით მთელი წლით გაგზავნილი იყო შვეიცარიაში, სადაც ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის დაჯილდოვეს კარლინის სამედიცინო-ქირურგიული ინსტიტუტის მედლით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, არის რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. პროფესორი დავით ტვილდიანი 142 მეცნიერული შრომის ავტორია, მათ შორის, სამი გამოგონებისა, ექვსი მონოგრაფიისა და სამი სახელმძღვანელოსი. არის რესპუბლიკის თერაპევტთა და კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების გამგეობათა პრეზიდიუმების წევრი, საკავშირო და საერთაშორისო ყრილობების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი, ოთხი შვილიშვილი.

იმის გასარკვევად, თუ როგორია პროფესორ დავით ტვილდიანის, როგორც დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამა, როგორ ესახება მას დეპუტატის როლი ახალ პარლამენტში, რასაკვირველია, არჩევის სასურველ შემთხვევაში, ჩვენმა კორესპონდენტმა ასეთი კითხვებით მიმართა მას:

— რა აზრისა ბრძანდებით არჩევნების შედეგებზე?

— რას მოელით არჩევნების მეორე ეტაპისაგან?

— როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი პარლამენტის საქმიანობა და კომუნისტთა როლი ამ უზენაეს ორგანოში?

— **დიდად** საწყენია, რომ ახალ პარლამენტში დეპუტატის მანდატი ვერ მიიღეს და პარლამენტის მიღმა დარჩნენ სხვადასხვა პარტიებისაგან დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული ჩვენი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ისინი, ვისაც ჩვენი ერის ისტორიის ამ მეტად გართულებულ ჟამს შეეძლოთ აქტიური და გონივრული მონაწილეობა მიეღოთ პარლამენტის მუშაობაში. ეს არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ წინააარჩევნო მუშაობის გამოცდილება, ბრძოლისწარმართვა, მისი საშუალებები და ფორმები სხვადასხვა პარტიას არაერთგვაროვანი აღმოჩნდა და მოსახლეობა მრავალპარტიული პარლამენტის არჩევნების წესების თაობაზე საკმარისად არ იყო ინფორმირებული.

— არჩევნები უნდა ჩატარდეს მშვიდ ვითარებაში, კანონით დაშვებულ ღონისძიებათა გამოყენების პირობებში. მან არ უნდა გადაიზარდოს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებად გათიშვა ნათესავების, საგვარეულოსა თუ თანასოფლელთა ნიშნით, რაც შემდგომში დამატებით პრობლემებს შეუქმნის ახლადარჩეულ დეპუტატესაც და პარლამენტსაც. ხალხს უნდა მივცეთ საშუალება გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. პარლამენტი ერის წინაშე მოღვაწეობა. პარლამენტის წევრი მიუკერძოებელი უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს გითავისოს და მხარი დაუჭიროს ერის ინტერესების გამომხატველ წესებისმიერ გონივრულ აზრს, რომელ პარტიისაც უნდა ეკუთვნოდეს იგი.

ახლადარჩეული პარლამენტი ერს უნდა გაუძღვეს გაუკვალავ გზა-ბილიკებით, ხმირად ბეწვის ხიდზეც, იმისათვის, რომ უშეცდომოდ, უფრო სწორად, საბედნიერო შეცდომების დაუშვებლად ვიაროთ, საჭიროა არა დეპუტატთა ხმების არითმეტიკულ რაოდენობაზე დაფუძნებული, არამედ ბრძენ კაცთა ნაფიქრზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება, მათდამი ერთგულების ყოველგვარ პარტიულობაზე და პირადულ ამბიციებზე მაღლა დაყენება, ერის მოწინავე ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია, ეროვნული ერთიანობა, ერის კეთილდღეობისათვის საყოველთაო სწრაფვა.

— ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი დეფორმაციებისა და დამახინჯებათა უმთავრეს მიზეზად ყოველთვის მიმაჩნდა ქვეყნის მართვის ერთპარტიული სისტემა. მაგრამ არასდროს მიფიქრია, რომ ყველა კომუნისტი უბნელია და კომპრომენტირებული პიროვნებაა. არც ამჟამად მგონია, რომ ყოველი ოპოზიციური პარტიის ყოველი წევრი თავისი პიროვნული თვისებებით და ერის წინაშე გაწეული დამსახურებით ყველა კომუნისტზე მაღლა დგას. პარტიულობა არ შეიძლება იყოს პიროვნების ზნეობრივი კრედოსა და ერისადმი ერთგულების ერთადერთი განმასაზღვრელი. პარტიულობის გამოცვლა ან უპარტიობა უზნეოს ზნეობას ვერ შეამტვრევს, სულმდაბალს ვერ აღამაღლებს, ისევე როგორც ვულის ოპერაცია მასში წლობით დაგროვილ ბოღმას ვერას უშველის.

რაც შეეხება ჩემს პოზიციას პარლამენტში, თუ რასაკვირველია, არჩეული ვიქნები, განსაკუთრებით აქტიურად დავუჭერ მხარს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, განთლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას, რადგან დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს განათლებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება, რასაც აქამდე მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს. მხარს დავუჭერ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლებას, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების გატარებას, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რადიკალურ გაუმჯობესებას, მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური და ეროვნულ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაა და განხორციელებას, საქართველოს მთიანეთის პრიორიტეტულ ათვისებასა და განვითარებას, მიგრაციული პროცესების რაციონალურ რეგულირებას, კორუფციის, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ღონისძიებას.

როგორც დეპუტატობის კანდიდატი ლენტეხის საარჩევნო ოლქიდან, აღვნიშნავ, რომ რამდენიც უნდა იყოს სვანი მოსახლეობის როდენობა საქართველოს ბარში, სვანეთისა და სვანობის რაობის, მისი კოლორიტის განშსაზღვრელი მუდამ იქნება სვანეთის მთებში და ხეობებში მცხოვრები ხალხი. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სვანს ეცხოვრებოდეს სვანეთში და სვანეთიდან მიგრაცია უკიდურესად რაციონალური იყოს. ამისათვის მთელი რიგი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს: შემუშავებული იქნას ღონისძიებათა კომპლექსი მიწათსარგებლობისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, დაჩქარდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზის კალიკოფლის მშენებლობის და კეთილმოწყობის სამუშაოები და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, გაანტიურდეს ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის ზრუნვა; ტყის კაფვის მთლიანად აღკვეთა; ბუნებრივი გაზის გაყვანა; ზვავსაშიში და მეწყერსაშიში დასახლებული უბნებისა და ადგილების კაპიტალური გამაგრების სამუშაოების გაწევა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას, ტერიზმის, ალპინიზმის, სამთო-სათხილამურო და სპორტის სხვა სახეობათა განვითარებას; რაიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა (მინერალური წყლები, მარმარილო, სპილენძი) დაჩქარებით ათვისება; სუვერენულ რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთმოგებიანი სავაჭრო კავშირების დამყარება; რაიონული საავადმყოფოს მშენებლობის დაჩქარება; რაიონის უზრუნველყოფა სამედიცინო კადრებით და სასოფლო-სამედიცინო ამბულატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. და კიდევ სვანი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის საჭირო მრავალი ღონისძიების გატარება.

ყველა ზემოაღნიშნულ აქტუალურ საკითხს დავაყენებ პარლამენტში, მთავრობაში და შესაბამის საუწყებო ორგანიზაციებში, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ენერგიის დაუზოგავად ვიბრძოლებ მათი განხორციელებისათვის.

ესაუბრა
ლარისა ხუბულური.



ციტრუსოვანთა ბაღებში

აფხაზეთში ტრადიციულად პირველებმა დაიწყეს ციტრუსების კრეფა გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. ბაღებშია მეურნეობის ექვსივე ბრიგადა, მათ შორის პენსიონერებისაც, რომელიც, სხვათა შორის, მოწინავეა.

წელს კარგი მოსავალი აქვთ. მეციტრუსეები ვარაუდობენ მოკრიფონ სულ ცოტა 8500 ტონა ნაყოფი — ეს 800 ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

სურათებზე: პირველ ბრიგადაში მოკრეფილი ნაყოფი ბაღებიდან გაიტანეს, ბრიგადირი ზურაბ ქვიწინია და მეციტრუსეები ალა პოლოხინა და პატია მაგომედოვა.

ბორის ალექსანდრიას ფოტო. (საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ ფოტოქრონიკა)

სოციალური განვითარებისათვის

საქართველოს მინისტრთა საბჭომ რეგისტრაციაში გაიარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფონდის წესდება.

ეს ფონდი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს სოციალური განვითარების დონის ამაღლებას. იგი ქმნის ტელესტუდიებს საკომპიუტერო პროგრამებს, აწყობს სატელეკომუნიკაციო და სათანამგზავრო კავშირს, მასობრივ ღონისძიებებს, ტელეგადაცემებს, ვიდეოგადაცემებს, ტელეხიდებს, ჟანრთლობის დაცვის ცენტრებს სახალხო მედიცინის ტრადიციული და საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

ფონდი მონაწილეობას მიიღებს აგროსისტემის, ეკპრობის, სპეციალური განათლების სფეროში, სპორტის, გამაჯანსაღებელი, სანატორიულ-ტურისტული და სხვა ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებაში, როგორიცაა ავეჯის წარმოება, სამკერვალო მრეწველობა, სასტუმრო მეურნეობა, საზოგადოებრივი კვება — საქართველოს და სხვა ქვეყნების საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით. იგი აწარმოებს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს სპეციალისტებისა და შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით და სხვა.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

თვალსაზრისი

სრულვყოთ დანაშაულის გახსნის ფორმები

მოქალაქეთა უფლებების კონსტიტუციური გარანტიები, მათი სოციალური დაცვა, კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული სამართალდამცავი ორგანოების სწორ, რიტმულ მუშაობაზე. ამ ორგანოების მიერ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების, მშვიდობიანი მომავალი კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხთან. უფრო მეტიც, წარმოუდგენელია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, პიროვნების ინტერესების შერწყმა საზოგადოებრივ ინტერესებთან კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის გარეშე. ამიტომ იმ დიდ ეროვნულ დემოკრატიულ მოძრაობებთან ერთად, რაც დღეს საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში მიმდინარეობს, სამართლიან შეშფოთებას იწვევს ისეთ მძიმე დანაშაულთა კატასტროფული ზრდა, როგორიცაა ყაჩაღური თავდასხმები, მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება და ა. შ. ამგვარ დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად საჭიროა მტკიცედ დაირაზმოს მთელი ჩვენი საზოგადოება, საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს და გარდაიქმნას სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა სოციალური სამართლიანობის პრინციპების აღდგენის, სამართლიანი თანაცხოვრების წესების დამკვიდრების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან მთლიანად აღმოიფხვრას მოქალაქეთა დაუსაბუთებელი დაკავება-დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათი უკანონოდ მიცემის ფაქტები. უნდა დამკვიდრდეს ყოველ დანაშაულებრივ ფაქტზე სწრაფი რეაგირების აუცილებლობა.

კრიმინალური ციკლის სამართლის ისტორიის განვითარებით დადგენილია, რომ სასჯელის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას განაპირობებს არა მისი სისასტიკე, არამედ მისი გარდუვალობა და, რომ ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რამდენად მკაცრ დასჯად ქმედებად იქნება გამოცხადებული ამა თუ იმ სახის დანაშაულის ჩადენა, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გაუხსნელი და მისი ჩამდენი პირი დაუსჯელი.

დასამაღი არაა, რომ დანაშაულთა დინამიკის ზრდასთან ერთად იზრდება გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობაც. თუ გაუხსნელ დანაშაულთა რიცხვს მივუმატებთ იმასაც, რომ, მთელ რიგ შემთხვევებში, საქმეზე გამოტანილი განაჩენი საკასაციო საჩივრების, პროტესტების, ახლად აღმოჩენილი გარემოებებისა და ზედამხედველობის წესით დაწერილი პროტესტების გაშო სასამართლოს ზედმგომი ორგანოების მიერ არცთუ იშვიათად უქმდება და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის ბრუნდება, ან მსჯავრდებული პირის მიმართ საქმე წარმოებით წყდება ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდი რაოდენობით რჩება გაუხსნელ დანაშაულებრივ ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები და ამის შედეგად რამდენი დამნაშავე რჩება დაუსჯელი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების მოთხოვნათა დაცვით ჩატარებული წინასწარი გამოძიება და საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა საუკეთესო საწინდარია სწორი, ხამართლიანი განაჩენის გამოტანისა. ამიტომ მიღწეული უნდა იქნეს, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და მისი ჩამდენი პირი დაუსჯელი. საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმეთა განხილვის ხარისხი, რომ საქართველოს სსრ სსკ მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გაშო საგამოძიებო ორგანოებში დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის დაბრუნება იშვიათი შემთხვევა იყოს.

ამ რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მოკვლევის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა პროფესიული ოსტატობის, მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ყოველდღიური ამაღლების, მათ მიერ დანაშაულთა გამოძიების პროცესში სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხების, დანაშაულთა გახსნის სპეციფიური მეთოდების გამოყენებისა და სხვა ზოგადი სამართლებრივი პრინციპების უმკაცრესად დაცვის გარეშე. ამასთან, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კრიმინალისტიკის საგნის სწავლებას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და სხვა იურიდიულ სასწავლებლებში. ამ მიზნით საჭიროა იურიდიულ ფაკულტეტზე შეიქმნას კრიმინალისტიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით აღჭურვილი სასწავლო-სამეცნიერო ტექნიკური ბაზა, რათა კრიმინალური ციკლის სისტემაში შემავალი სპეციალობით კურსდამთავრებულებს სტუდენტთა მერხდანვე ჩამოუყალიბდეთ დანაშაულთა გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და გამოძიების პრაქტიკული ჩვევები.

დანაშაულებრივი შემთხვევის, როგორც წარსულში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტის შემეცნების პროცესი მეტად რთული და შრომატევადია. მას ართულებს ისიც, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ დანაშაულებრივი ფაქტის ჩამდენად გვევლინება გარკვეული პირობებით ურთიერთდაკავშირებული გამოცდილ დამნაშავეთა ჯგუფი ან ამა თუ იმ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც თავის პროფესიულ ცოდნას, მთელ თავის გამოცდილებას ფართოდ იყენებს დანაშაულის კვალის დაფარვისათვის.

იმისათვის, რომ შევძლოთ ყოველგვარი სახის შენიღბული დანაშაულის გახსნა, აუცილებელია სისწრაფე, ოპერატიულობა და გამოძიების წარმართვა კანონიერების უმკაცრესად დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად. საჭიროა დანაშაულთა გამოძიების პროცესში სრულყოფილად გამოვიყენოთ საზოგადოებრივობის აქტიური დახმარება, მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების სწორი, საქმიანი ურთიერთკავშირი, მათი სრულყოფილი აღჭურვა უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით, მატერიალური დაინტერესებისა და სამსახურებრივი სტიმულირების ფორმები და მეთოდები, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და მათი გამოკვლევის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და დანაშაულთა გახსნის მეთოდები. საჭიროა მოხმდარი დანაშაულებრივი ფაქტის აღდგენა, საქმეზე შეკრებილი მასალების სწორი გაანალიზება, გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჰიპოთეზების დადგენა, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის სწორი იურიდიული შეფასება და დამნაშავის სამართლიანი დასჯა.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლოა ყველა დანაშაულებრივი შემთხვევის გახსნა ან მათი გაუხსნელობის უმნიშვნელო მინიმუმამდე დაყვანა. ეს მოხდება თუკი შევძლებთ დანაშაულთა გახსნის ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების აღმოფხვრას, თუ დანაშაულის გახსნის უფლებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად სწრაფად, ოპერატიულად, სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვით, საზოგადოებრიობის ფართო მასებზე დაყრდნობით, სწორად და მიზნობრივად გამოვიყენებთ კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ დანაშაულთა გახსნის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და დანაშაულთა გახსნის მეთოდებს. ამასთან, დანაშაულთა გახსნის აქტუალური საკითხები უნდა დავუკავშიროთ თანამედროვე მოთხოვნებს: დაჩქარების, დემოკრატიზაციის, საჯაროობისა და გარდაქმნის პროცესებს, რადგან დღეს, გარდაქმნის მიმდინარეობამ მოიცვა მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მართვის სფერო, იგი მძლავრად შეიჭრა სამართლის ყველა დარგში და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, ახლა აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკური სისტემის რეფორმა, სახელმწიფო აპარატის მართვის სისტემისა და სასამართლო რეფორმა, მათი საფუძვლიანი გარდაქმნა და საბჭოთა სახელმწიფოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი.

ყოველივე ეს შეუძლებელია არ დაეტყოს სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზაციულ საქმიანობას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მიმართებით, პირველ რიგში, გარდაიქმნას და გარკვეული ცვლილებები იქნეს შეტანილი სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სტრუქტურაში. ვფიქრობთ, დადგა დრო, განხორციელდეს მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ არაერთხელ დასაბუთებული და ზემდგომ ორგანოებში დაყენებული საკითხის — ცენტრალური, დამოუკიდებელი რესპუბლიკური მნიშვნელობის ერთიანი საგამოძიებო აპარატის შექმნის შესახებ. საჭიროა გარკვეული ცვლილებები იქნას შეტანილი აგრეთვე მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მუშაობის შეფასების კრიტერიუმში და მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების რეგისტრაციის არსებულ წესში. კერძოდ, საჭიროდ მიგვაჩნია მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების რეგისტრაცია მოხდეს ერთიან რესპუბლიკურ ცენტრში გამოთვლითი მანქანების მეშვეობით და იქიდან გადაეცეთ იგი შესაბამის ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის. ამასთან მათზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი კანონით დადგენილ ვადებში საქმის აღძვრის ან არ აღძვრის შესახებ დასაბუთებული დადგენილების გამოტანისა და საგამოძიები ვადების დაცვაზე, მათ დროულ გახსნაზე. მათი მუშაობის შეფასებაც უნდა მოხდეს არა მარტო დანაშაულთა დინამიკის, მათი სტატისტიკური მონაცემების, არამედ დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინების, მათზე სწორი რეაგირებისა და გახსნის მიხედვით. საჭიროა ამ ორგანოების მუშაობის შეფასების ისეთი წესის შემოღება, რომელიც მათ სტიმულს მისცემდა აწარმოონ ყველა გამოვლენილ დანაშაულთა აღრიცხვა და მათი დროული გახსნა. ეს გარემოება, ვფიქრობთ, გარკვეულად შეუწყობს ხელს დანაშაულთა ზუსტ აღრიცხვიანობას, დანაშაულთა სწრაფ, სრულ გახსნას და ამ მიმართებით სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

საჭიროა აგრეთვე რადიკალურად გაუმჯობესდეს გაუხსნელ დანაშაულთა საქმეებზე მუშაობის პრაქტიკა. ამ მიმართებით აუცილებლად მიგვაჩნია შეიუშავდეს კონკრეტული წინადადებები და შეიქმნას ერთიანი სისტემა გასულ წლებში მომხდარ რეგისტრირებულ საშიშ, გაუხსნელ დანაშაულთა საქმეებზე შუამობისათვის. სამწუხაროა, რომ დღემდე რესპუბლიკას არ გააჩნია კრიმინალისტიკის ინსტიტუტი, რომელიც გააერთიანებდა და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას გაუწევდა ყველა სახის სასამართლო ექსპერტიზის წარმოებას მაღალ მეცნიერულ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე და თავიდან აგვაცილებდა იმ არასასიამოვნო მოთქმა-მოთქმას, რაც, მთელ რიგ შემთხვევებში, თან სდევს შს სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებებში და სხვა არასაექსპერტო დაწესებულებებსა და ბიუროებში ექსპერტიზების ჩატარებას, დაზარალებულთა და დაინტერესებულ პირთა მიერ გაუთავებელ მოთხოვნას გამოსაძიებელ საქმეზე მოსკოვსა და სოციალისტურ ქვეყნებში ექსპერტიზების ჩატარების შესახებ. ცხადია, ასეთი ინსტიტუტი ამასთან ხელმძღვანელობას გაუწევდა რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ყველა თეორიულ, პრაქტიკულ და ორგანიზაციული საკითხების დამუშავებას, მაგრამ სანამ ასეთი მძლავრი მეცნიერული პოტენციალის მქონე ინსტიტუტი არ შექმნილა და იგი ჯერ კიდევ შეიძლება განუხორციელებელ ოცნებად დარჩეს, მანამდე საჭიროა დაუყოვნებლივ შეიქმნას რესპუბლიკური მნიშვნელობის პრაქტიკულ-სამეცნიერო მუშაობის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცენტრი კრიმინალისტიკისა, სადაც სისხლის სამართლის სამძებრო ოპერატიული მუშაკები, გამომძიებლები, შს სამინისტროს ქალაქისა და რაიონული განყოფილების ფაქტრები, ბალისტიკოსები, მოადგილეები, პროკურორები, მათი მოადგილეები და ექსპერტი კრიმანალისტები გაივლიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. ამასთან, კარგი იქნება, თუ იგი ხელმძღვანელობას გაუწევს და უზრუნველყოფს: მოხდარი დანაშაულებრივი ფაქტების ერთიანი (საქალაქო) რესპუბლიკურ სარეგისტრაციო სისტემის შექმნას და მის ხელმძღვანელობას; მოკვლევის, საგამოძიებო ორგანოებისა და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში; მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზაციას და მათ ატესტაციას; გაუხსნელ დანაშაულთა საქმეების მეცნიერულ განზოგადებას და მათი გახსნის მიზნით შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას; დანაშაულთა გახსნის პრობლემატიურ საკითხებზე შესაბამისი ორგანოებისათვის საჭირო სახელმძღვანელო-საინსტრუქციო წერილების მომზადებას. მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მუშაკებს გაუწიოს სათანადო კონსულტაცია და უზრუნველყოს საშიშ დანაშაულთა საქმეების გამოძიების სწორი ორგანიზაცია; მოკვლევისა და გამოძიების ორგანოების მუშაკები უზრუნველყოს დანაშაულთა გახსნის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურით; იზრუნოს თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევებით აღჭურვილი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და სხვა იურიდიულ სასწავლებლებში თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევებით აღჭურვილი სასწავლო-სამეცნიერო ტექნიკური ბაზის შექმნის, პრაქტიკოსი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების და კრიმინალისტიკის სპეციალობით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ-დიპლომანტთა უკეთ მომზადებისათვის, უზრუნველყოს დანაშაულთა გახსნის პრობლემებზე მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების ორგანიზაცია; პერიოდულად შეისწავლოს და მეცნიერულად განაზოგადოს რეალური, საშიში სახის დანაშაულთა გამოძიების პრაქტიკა და მასზე დაყრდნობით, კრიმინალისტიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით პრაქტიკოს მუშაკებისათვის შექმნას დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სათანადო სპეციალური ლიტერატურა.

გვჯერა, ამ მიზნებისათვის გაწეული სახელმწიფო ხარჯები დაკარგული არ იქნება და იგი დადებით შედეგებს გამოიღებს. ამაღლდება მოკვლევის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაობის კულტურა, გაუჯობესდება დანაშაულთა გამოძიების ხარისხი, განმტკიცდება გამოძიების პროცესში ყოველგვარი აკრძალული მეთოდების დაუშვებლობის პრინციპი, მოხდება დანაშაულთა სწრაფი, სრული გახსნა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, თავიდან იქნება აცილებული ყველა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისადმი მსჯავრდებულთა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება, მათი გაუთავებელი ჩივილი, წმობლების, დაზარალებულებისა და მათი ახლობლების გულისწყრომა. ამასთან იგი გარკვეულად შეუწყობს ხელს დანაშაულთა ზუსტ აღრიცხვიანობას, მათს სწრაფ, სრულ გახსნას, გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და ამ მიმართებით სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა-გაუმჯობესებას.

ზოთა ფაფიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის საპროკურორო ზედამხედველობისა და მართლმსაჯულების კათედრის პროფესორი.

ასეთი იქნება ასოციაცია „ვეტერანი“

გამოვიყენოთ კანონით მოცემული ზელავათები

პენსიონერებისა და ვეტერანთა მიმართ

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი მთავრობისა და ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი ომისა და შრომის ვეტერანების მორალური, სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესების საკითხებისადმი.

დღევანდელობამ კატეგორიულად მოითხოვა პენსიონერების, საპენსიო ასაკისა და ყველა ვეტერანის ფართოდ ჩაბმა შრომით პროცესში, მათი მდიდარი გამოცდილების, ცოდნის გამოყენება.

უნდა შეიქმნას ყველა პირობა, რათა ეს დიდი რეზერვი მაქსიმალურად გამოვიყენოთ საწარმოებში, მომსახურებისა და კულტურის სფეროში. ამით ჩვენ დიდ დახმარებას გავუწევთ სახალხო მეურნეობის განვითარებას და ამასთან მკვეთრად გავაუმჯობესებთ ამ კატეგორიის მუშაკთა სოციალურ და მატერიალურ პირობებს. ამასვე უწყობს ხელს მიმდინარე წლის 14 ივნისის კანონი საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანების გადასახადების შესახებ, რომლის VI მუხლის მე-7 პუნქტი გადასახადისაგან მთლიანად თავისუფლებს შრომისა და ომის ვეტერანთა კოოპერატივებს.

საქართველოს ვეტერანთა საბჭოს ინიციატივით მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს შეიქმნა კოოპერატორთა ასოციაცია „ვეტერანი“, უკვე არჩეულია მისი გამგეობა, საბჭოს პრეზიდენტი. მიღებულია წესდება.

ასოციაციის საქმიანობა მთლიანად უნდა უპასუხებდეს კანონის მოთხოვნებს კოოპერატივების შესახებ, მიმართული უნდა იყოს სახალხო მოხმარების საგნების, საუბვის, მომსახურების დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

ვინ შეავ ასოციაცია „ვეტერანში“ და რა პრივილეგიები ექნებათ მათ?

ამ ასოციაციაში შევლენ მხოლოდ ის კოოპერატივები, რომლებშიც გაერთიანებული მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 70 პროცენტი პენსიონერები, ვეტერანები და საპენსიო ასაკის პირები არიან. ამ პროცენტში არ შედიან დროებით დაქირავებული (სამი თვის და ნაკლები ვადით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲜᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲨᲘ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲐᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲛᲣᲥᲠᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲑᲣᲚ ᲐᲑᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲒᲒᲘᲞᲢᲣᲠᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲚᲓᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ: ᲗᲣᲜᲪ ᲩᲛᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲑᲐᲠᲗᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲡᲚᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲗᲐᲜ. ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲑᲐᲠᲗᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲡᲚᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲛᲝᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲔᲚᲩᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲘᲓᲐ ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲛᲝᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲓᲐᲠᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲣᲚი ᲓᲐ ᲘᲫᲕᲔ ᲤᲘᲖᲘᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ. ᲛᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲚᲓᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲒᲒᲘᲞᲢᲣᲠᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲚᲓᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚი. ᲛᲘᲡᲘ

დიდი მგოსნის საიუბილეოდ



ახლახან გამომცემლობა „საქართველომ“ გამოსცა „მოგონებები აკაკიზე, რომლის ავტორები არიან აკაკი წერეთლის თანამედროვე ცნობილი ქართველი მწერლები, თეატრალური და საზოგადო მოღვაწეები, პოეტის ახლო ნათესავები, მეგობრები და თანასოფლელები. ერთ-ერთი მათგანია ვარინკა წერეთელი. თავის მოგონებაში — „სულიკოს“ ავტორი ჩემს ხსოვნაში“, რომელიც დაწერილია 1942 წელს, ვ. წერეთელი იხსენებს: „დაახლოებით 45 წლის წინათ (ზუსტად 1895 წელს, როცა ვარინკა 20 წლისა იყო. რ. დ.) აკაკიმ მომიძღვნა ლექსი „სულიკო“ და მითხრა, შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო. დიდი მგოსნის შეკვეთამ, რა თქმა უნდა, საგონებელში ჩამაგდო. ლექსის მეთაურობით. მათ შორის, როგორც თვით ვარინკა იგონებს, იყვნენ დაღესტნის მმართველი ნიკო ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ბაბალე ნაკაშიძე-კვირკველია, გენერალი როსტომ წერეთელი, შემდეგში ვარინკას მაზლი.

„ბავშვობიდან მიყვარდა ყელოვნება, იგონებს ვარინკა, განსაკუთრებით კი ხელოვნების ყველაზე უფრო მომხიბლავი დარგი — სიმღერა. მეც გვარიანად ვმღეროდი. მოსწონდათ ჩემი სიმღერა და მამხნევებდნენ, განსაკუთრებით მამხნევებდა აკაკი, რომელსაც, როგორც თვითონ ეტყოდა, ჩემი სიმღერა ყველაზე უფრო ტკბილად ესაუბრებოდა... „მუსიკას უფრო დაეჯერება, ვინემ სიტყვებსაო“,— მეტყოდა ხოლმე პოეტი და მეც უფრო ხშირად მის ლექსებს ვმღეროდი“. განსაკუთრებით კარგად ამღერებდა ვარინკა გიტარაზე აკაკის ლექსებს „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ და „მუხამბაზს“ („რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“), რომლის მუსიკაც თვით ვარინკა წერეთელს ეკუთვნოდა.

შემდგომში ვარინკა მაჟავარიანი აკაკის ნათესაგის, სერგო გიგოს ძე წერეთლის მეუღლე გახდა და საჩხერეში გადასახლდა. როგორც ვარინკას კარგი მეგობრის ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლის შვილი ელენე მაჩაბელი იგონებს, „ვარინკას არა მარტო მომხიბლავი ხმა ჰქონდა, არამედ იგი მომზადებული იყო თავისი გარეგნობით, ხასიათით და ბუნებით. პატარა ტანის, გამხდარი აგებულების ვარინკა ამავე დროს იმდენად ნაზი, ალერსიანი და სათნო იყო, რომ მაშინვე იპყრობდა ახლად გაცნობილთა სიმპატიას“.

ბარბარე (ვარინკა) მაჟავარიანი-წერეთელი არა მარტო მომღერალი იყო, არამედ, თითქმის ათი წლის განმავლობაში იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარეც გახლდათ. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ხშირად იმართებოდა კონცერტები, რომელთა შემოსავალი ჩამორჩენილ სოფლებში სკოლების აგებას ხმარდებოდა. ზოგჯერ კი ვარინკა, მის მიერ გამართული საღამოების შემოსავლის ერთ ნაწილს ღარიბ სტუდენტებს უგზავნიდა, ხოლო ნაწილს — გადასახლებაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს.

1894 წლის შემოდგომაზე აკაკი ძალიან ავად გახდა: თვალს ვერ ახელდა, ლაპარაკი არ შეეძლო და სდუმდა. გულმოკლული ვარინკა სხვებთან ერთად სასთუმალთან გარინდებულიყო; სთხოვეს მას: ნელი ხმით დაიღიღინე, იქნებ აკაკის ეამოსო. ვარინკა ასეც მოიქცა. პოეტმა გაიღიმა, თვალი გიგოს, მერე კვლავ ჩათვლიმა. მაგარი აგებულების აკაკიმ ამჯერად სძლია სატკივარს, განკურნების შემდეგ მან მშვენიერი ლექსი „რამ მომარჩინა“ გაუგზავნა ვარინკას.

აი, ის ლექსიც:

„ბურანში მყოფ ცოცხალ-მკვდარსა
ხმა ჩამესმა ციური რამ:
„ვერ გიმეტებ სასიკვდილოდ!
ჯერ ადრეა! ვერ გაგნირავ!“
თან ჩამოპყვა, როგორც
კიბეს,
სამკურნალო იმ ხმას ძალი:
ვისუნთქე და შევფართხალდი,
გავახილე სუსტად თვალი.
ნათლის შუქმა თვალი მომჭრა
მომეჩვენა რაღაც ბუნდად...
თითქოს დასი ანგელოსთა
მეხვეოდა მე გარს გუნდად.
ერთის ეჭირა ჩანგი ხელში,
სულს ატკბობდა ჟღერით...
მღერით,
და სხვები-კი ბანს აძლევდნენ
თან გრძნობით და ბეჯერით.
ვთქვი: „სადა ვარ? სად
მოვსულვარ?
ველარა ვცნობ მე ამ სოფელს!..
ეს ყოფილა რომ იტყვიან
ზეცასა და სასუფეველს!
ეს სიმღერაც მალამოა
წრფელი გულის, წმინდა
სულის!
მშობელი და თვით ნაშობი
ზეციური სიყვარულის!...“
ეს ვიგრძენ და მისუსტებულს
სამკურნალოდ მიმეძინა...
ვფიცავ ღმერთსა, მხოლოდ
ამან!...
ამან მხოლოდ მომარჩინა!...

1897 წელს აკაკიმ ვარინკას მიუძღვნა კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი „ობოუკი და ახალგაზრდა“.

ვარინკას ხმა ივანე მაჩაბელსაც ძალიან მოსწონდა და როგორც მისი შვილი ელენე წერს, მასთანაც ავადმყოფობის დროს საგანგებოდ ჩამოსულა თბილისში როგორც „მკურნალი“ თავისი შესანიშნავი სიმღერით.

პირველად „სულიკო“ ნოტებზე ჩაწერა ქართული ხალხური სიმღერის დიდმა მოამაგემ კოტე ფოცხვერაშვილმა 1900 წლის დასაწყისში. 1903 წელს მანვე ეს სიმღერა ოდნავ გადაამუშავა. „მე ვთვლი ჩემს თავს ამ სიმღერის ავტორად და როგორც დაინტერესებული პიროვნება ამ მხრივ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გაწეული შრომისათვის“, — წერდა ვარინკა კ. ფოცხვერაშვილს.

1912 წელს „სულიკო“ დაამუშავა ზაქარია ფალიაშვილმა.

ვარინკა წერეთელს „სულიკოს“ გარდა კიდევ ბევრი სიმღერა შეუქმნია და ბევრიც თავისებურად გადაუკეთებია.

ვარინკამ გრამფირფიტაზე ჩაწერა სიმღერები „სულიკო“ და „მუხამბაზი“ თავის დეიდაშვილთან ბაბილინა ერისთავთან ერთად.

სხვების „მკურნალი“ ვარინკა მაჟავარიანი-წერეთელი ცხოვრებაში უბედური იყო, სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა, რის შემდეგ თალხები ალარ გაუხდია. ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთადერთი ვაჟი 26 წლისა მოუკვდა ჭლექით. ამ უბედურებამ ვარინკა დიდი ხნით ლოგინად ჩააგდო.

ბარბარე (ვარინკა) მაჟავარიანი-წერეთელი გარდაიცვალა 1948 წლის 21 მარტს ზესტაფონში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ცხრაწყაროში. მისი სიმღერა —„სულიკო“ კი მარად უკვდავია.

რემ დავიდოვი.

„საყვარელ გულგულს... აკაკისაგან“



მომხიბლავმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახეები აღძრა. ერთ მშვენიერ დღეს გიტარის აკომპანემენტზე სრულიად მოულოდნელად ჩამოყალიბდა „სულიკოს“ მელოდია. როდესაც აკაკიმ ეს მელოდია პირველად გიგონა, დიდად ნასიამოვნები დარჩა, მამღერა მრავალჯერ, შემდეგ თავისი პორტრეტი მაჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს — სულიკო-ვარინკას, აკაკისაგან“.

ვინ იყო ვარინკა წერეთელი? რა აკაკ[illegible]ებდა მას აკაკისთან? სად ცხ[illegible]ოდა, რით არის განთქმული? როდის ჩაიწერა პირველად „სულიკო“ ნოტებზე? ეს და სხვა მრავალი კითხვა წამოიჭრა ჩემს წინაშე. სიმღერა „სულიკო“ დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. „ხდება ცხოვრებაში გასაოცარი ამბავი, — წერდა გალაკტიონ ტაბიძე, — [illegible] წელს, პარიზში ფრანგების ორკესტრი უკრავდა „სულიკოს“. ბევრი მუსიკა მომისმენია ქვეყნად, მაგრამ ასეთი ჰანგები არასოდეს...“

ბარბარე (შინაურულ წრეში ვარინკა) მაჟავარიანი-წერეთელი დაიბადა 1874 წელს ქუთაისის მაზრის [illegible] სოფელ ცხრაწყაროში გენერალ სპირიდონ მაჟავარიანის ოჯახში. დედა აგიაშვილის ქალი იყო. საშუალო განათლება ვარინკამ მიიღო ქუთაისში, მაშინდელ პირველ ქალთა გიმნაზიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო ოჯახში, მას მიუჩინეს მუსიკის, ფრანგული და რუსული ენის მასწავლებები. მუსიკას ასწავლიდა პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერლის ფილიმონ ქორიძის მეუღლე ზინაიდა კორობეკი — თავის დროზე ცნობილი მომღერალი და პიანისტი ქალი. ქუთაისში სპირიდონ მაჟავარიანისა და ფილიმონ ქორიძის ოჯახებში ხშირად იკრებებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწენი აკაკი წერეთლის სია ბაგრატიონ-მაჩაბლის შვილი ელენე მაჩაბელი იგონებს, „ვარინკას არა მარტო მომხიბლავი ხმა ჰქონდა, არამედ იგი მომზადებული იყო თავისი გარეგნობით, ხასიათით და ბუნებით. პატარა ტანის, გამხდარი აგებულების ვარინკა ამავე დროს იმდენად ნაზი, ალერსიანი და სათნო იყო, რომ მაშინვე იპყრობდა ახლად გაცნობილთა სიმპატიას“.

ბარბარე (შინაურულ წრეში ვარინკა) მაჟავარიანი-წერეთელი დაიბადა 1874 წელს ქუთაისის მაზრის [illegible] სოფელ ცხრაწყაროში გენერალ სპირიდონ მაჟავარიანის ოჯახში. დედა აგიაშვილის ქალი იყო. საშუალო განათლება ვარინკამ მიიღო ქუთაისში, მაშინდელ პირველ ქალთა გიმნაზიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო ოჯახში, მას მიუჩინეს მუსიკის, ფრანგული და რუსული ენის მასწავლებები. მუსიკას ასწავლიდა პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერლის ფილიმონ ქორიძის მეუღლე ზინაიდა კორობეკი — თავის დროზე ცნობილი მომღერალი და პიანისტი ქალი. ქუთაისში სპირიდონ მაჟავარიანისა და ფილიმონ ქორიძის ოჯახებში ხშირად იკრებებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწენი აკაკი წერეთლის მეთაურობით. მათ შორის, როგორც თვით ვარინკა იგონებს, იყვნენ დაღესტნის მმართველი ნიკო ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ბაბალე ნაკაშიძე-კვირკველია, გენერალი როსტომ წერეთელი, შემდეგში ვარინკას მაზლი.

„ბავშვობიდან მიყვარდა ყელოვნება, იგონებს ვარინკა, განსაკუთრებით კი ხელოვნების ყველაზე უფრო მომხიბლავი დარგი — სიმღერა. მეც გვარიანად ვმღეროდი. მოსწონდათ ჩემი სიმღერა და მამხნევებდნენ, განსაკუთრებით მამხნევებდა აკაკი, რომელსაც, როგორც თვითონ ეტყოდა, ჩემი სიმღერა ყველაზე უფრო ტკბილად ესაუბრებოდა... „მუსიკას უფრო დაეჯერება, ვინემ სიტყვებსაო“,— მეტყოდა ხოლმე პოეტი და მეც უფრო ხშირად მის ლექსებს ვმღეროდი“. განსაკუთრებით კარგად ამღერებდა ვარინკა გიტარაზე აკაკის ლექსებს „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ და „მუხამბაზს“ („რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“), რომლის მუსიკაც თვით ვარინკა წერეთელს ეკუთვნოდა.

შემდგომში ვარინკა მაჟავარიანი აკაკის ნათესაგის, სერგო გიგოს ძე წერეთლის მეუღლე გახდა და საჩხერეში გადასახლდა. როგორც ვარინკას კარგი მეგობრის ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლის შვილი ელენე მაჩაბელი იგონებს, „ვარინკას არა მარტო მომხიბლავი ხმა ჰქონდა, არამედ იგი მომზადებული იყო თავისი გარეგნობით, ხასიათით და ბუნებით. პატარა ტანის, გამხდარი აგებულების ვარინკა ამავე დროს იმდენად ნაზი, ალერსიანი და სათნო იყო, რომ მაშინვე იპყრობდა ახლად გაცნობილთა სიმპატიას“.

ბარბარე (ვარინკა) მაჟავარიანი-წერეთელი არა მარტო მომღერალი იყო, არამედ, თითქმის ათი წლის განმავლობაში იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარეც გახლდათ. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ხშირად იმართებოდა კონცერტები, რომელთა შემოსავალი ჩამორჩენილ სოფლებში სკოლების აგებას ხმარდებოდა. ზოგჯერ კი ვარინკა, მის მიერ გამართული საღამოების შემოსავლის ერთ ნაწილს ღარიბ სტუდენტებს უგზავნიდა, ხოლო ნაწილს — გადასახლებაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს.

1894 წლის შემოდგომაზე აკაკი ძალიან ავად გახდა: თვალს ვერ ახელდა, ლაპარაკი არ შეეძლო და სდუმდა. გულმოკლული ვარინკა სხვებთან ერთად სასთუმალთან გარინდებულიყო; სთხოვეს მას: ნელი ხმით დაიღიღინე, იქნებ აკაკის ეამოსო. ვარინკა ასეც მოიქცა. პოეტმა გაიღიმა, თვალი გიგოს, მერე კვლავ ჩათვლიმა. მაგარი აგებულების აკაკიმ ამჯერად სძლია სატკივარს, განკურნების შემდეგ მან მშვენიერი ლექსი „რამ მომარჩინა“ გაუგზავნა ვარინკას.

აი, ის ლექსიც:

„ბურანში მყოფ ცოცხალ-
მკვდარსა
ხმა ჩამესმა ციური რამ:
„ვერ გიმეტებ სასიკვდილოდ!
ჯერ ადრეა! ვერ გაგნირავ!“
თან ჩამოპყვა, როგორც
კიბეს,
სამკურნალო იმ ხმას ძალი:
ვისუნთქე და შევფართხალდი,
გავახილე სუსტად თვალი.
ნათლის შუქმა თვალი მომჭრა
მომეჩვენა რაღაც ბუნდად...
თითქოს დასი ანგელოსთა
მეხვეოდა მე გარს გუნდად.
ერთის ეჭირა ჩანგი ხელში,
სულს ატკბობდა ჟღერით...
მღერით,
და სხვები-კი ბანს აძლევდნენ
თან გრძნობით და ბეჯერით.
ვთქვი: „სადა ვარ? სად
მოვსულვარ?
ველარა ვცნობ მე ამ სოფელს!..
ეს ყოფილა რომ იტყვიან
ზეცასა და სასუფეველს!
ეს სიმღერაც მალამოა
წრფელი გულის, წმინდა
სულის!
მშობელი და თვით ნაშობი
ზეციური სიყვარულის!...“
ეს ვიგრძენ და მისუსტებულს
სამკურნალოდ მიმეძინა...
ვფიცავ ღმერთსა, მხოლოდ
ამან!...
ამან მხოლოდ მომარჩინა!...

1897 წელს აკაკიმ ვარინკას მიუძღვნა კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი „ობოუკი და ახალგაზრდა“.

ვარინკას ხმა ივანე მაჩაბელსაც ძალიან მოსწონდა და როგორც მისი შვილი ელენე წერს, მასთანაც ავადმყოფობის დროს საგანგებოდ ჩამოსულა თბილისში როგორც „მკურნალი“ თავისი შესანიშნავი სიმღერით.

პირველად „სულიკო“ ნოტებზე ჩაწერა ქართული ხალხური სიმღერის დიდმა მოამაგემ კოტე ფოცხვერაშვილმა 1900 წლის დასაწყისში. 1903 წელს მანვე ეს სიმღერა ოდნავ გადაამუშავა. „მე ვთვლი ჩემს თავს ამ სიმღერის ავტორად და როგორც დაინტერესებული პიროვნება ამ მხრივ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გაწეული შრომისათვის“, — წერდა ვარინკა კ. ფოცხვერაშვილს.

1912 წელს „სულიკო“ დაამუშავა ზაქარია ფალიაშვილმა.

ვარინკა წერეთელს „სულიკოს“ გარდა კიდევ ბევრი სიმღერა შეუქმნია და ბევრიც თავისებურად გადაუკეთებია.

ვარინკამ გრამფირფიტაზე ჩაწერა სიმღერები „სულიკო“ და „მუხამბაზი“ თავის დეიდაშვილთან ბაბილინა ერისთავთან ერთად.

სხვების „მკურნალი“ ვარინკა მაჟავარიანი-წერეთელი ცხოვრებაში უბედური იყო, სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა, რის შემდეგ თალხები ალარ გაუხდია. ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთადერთი ვაჟი 26 წლისა მოუკვდა ჭლექით. ამ უბედურებამ ვარინკა დიდი ხნით ლოგინად ჩააგდო.

ბარბარე (ვარინკა) მაჟავარიანი-წერეთელი გარდაიცვალა 1948 წლის 21 მარტს ზესტაფონში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ცხრაწყაროში. მისი სიმღერა —„სულიკო“ კი მარად უკვდავია.

რემ დავიდოვი.

გასტროლები

დაე, მტკიცდებოდეს კონტაქტები

ახლახან ლენინგრადიდან დაბრუნდა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც იქ სამი კონცერტი გამართა. კოლექტივის გამოსვლების შესახებ აზრს გვიზიარებს ლენინგრადელი კრიტიკოსი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ ბიალიკი.

ხშირად, თბილისში ყოფნისას, ფესტივალებსა თუ დათვალიერებებზე და უბრალოდ ისეც (რადგან ამ ქალაქის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია), ბევრჯერ დავსწრებივარ საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტებს. მომისმენია მისთვის აღმავლობის ხანაშიც, დაცემისა და უფრო მეტიც, კრიზისის პერიოდშიც. ასევე დიდი ხანია ვიცნობ დირიჟორ გივი აზმაიფარაშვილის არტისტულ შემოქმედებას, რომელიც თავის დროზე სწავლობდა ლენინგრადში აქაური ცნობილი სადირიჟორო სკოლის დამაარსებლებთან. რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ერთობლივი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგებს გავეცანით სწორედ ახლახან ნევისპირი ქალაქში გამართული კონცერტების სერიით. ორკესტრი ლენინგრადში ჩამოვიდა რუსეთის უძველესი კულტურული დაწესებულების, მ. გლინკას სახელობის აკადემიური საგუნდო კაპელის მოწვევით, რათა ერთობლივი კონცერტები გაემართათ.

გამოვტყდები, რომ პირველ კონცერტზე არცთუ დარწმუნებული მივედი; საერთო დესტაბილიზაცია დამღუპველად მოქმედებს ყველაზე უფრო პრესტიჟული და მაღალი დონის მუსიკალური კოლექტივების მდგომარეობაზე. ჩემდა სასიხარულოდ დავრწმუნდი, რომ ქართული კოლექტივი კარგად ყოფილა დაკომპლექტებული კვალიფიციური მსახიობებით. გამოირჩევა დისციპლინით. ამასთანავე, მის შესრულებაში იგრძნობა სილაღე. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ იმ აღელვებასაც, რომელიც ეუფლება ნებისმიერ მუსიკოსს კაპელის საუცხოო ისტორიული დარბაზის ესტრადაზე გამოსვლისას, მაგრამ ზოგჯერ ხომ ასეთ მოელვარებას გამოუწვევია დასანანი ხარვეზები და ჩავარდნები, მაგრამ ისინი ამჯერად, საბედნიეროდ, არ ყოფილა. ის ორი კონცერტი აქ რომ მოვისმინე, უდიდესი აღმავლობით მოეწყო და მხურვალედ მიიღო ხალხით სავსე დარბაზმა.

მოცარტის „რეკვიემი“ სრულდებოდა ლენინგრადში პირველად ჩამოსული, მაგრამ თბილისელთათვის უკვე ნაცნობი პოლონელი დირიჟორის ბოგუსლავ დავიდოვის ხელმძღვანელობით. შესრულება გამოირჩეოდა კეთილშობილი გემოვნებითა და გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრის ეფექტურობის კარგი შეწონასწორებითა და ერთსულოვნებით.

მეორე საღამოს ყველზე დიადი ქმნილება — ვერდის „რეკვიემი“. ჟღმარიტი დრამატიზმით წარმართა მისი შესრულება გივი აზმაიფარაშვილმა. დარდი და მწუხარება გარდაცვლილთა გამო ამ სულთათანაში ბუნებრივად ერწყმის მოწიწებას მათი ხსოვნის წინაშე. მაესტრომ შეძლო აღენთო ინტერპრეტაციის ყველა მონაწილე თავისი აღფრთოვანებული დამოკიდებულებით დიდი იტალიელი კომპოზიტორის მუსიკისადმი, თუმცა, კულმინაციები ზუსტად იყო გაანგარიშებული. შემართებას აკავებდა ვნება და ეს მხოლოდ აძლიერებდა ზემოქმედების ძალას. როდესაც კარგ მომღერლებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უფრადღებას მივაპყრობთ მათ ღრმა სუნთქვას. სწორედ ასეთი ძალუმი სუნთქვა იგრძნობოდა ორკესტრის შესრულებაში.

გასტროლის საბოლოო კონცერტზე ვლადისლავ ჩერნუშენკოს დირიჟორობით შესრულდა რახმანინოვის ქმნილებანი.

ქართული ორკესტრისა და რუსული ქოროს წარმატებული შემოქმედებითი თანამშრომლობა გახდა საუცხოო გამოვლინება იმ დიდი ხნის დამკვიდრებული მხატვრული რეგიონთშორისი ურთიერთობისა, ურომლისოდაც ხელოვნება ვერ იარსებებდა. გვიხდა გვჯერდეს, როდესაც ხალხები ქუმბარიტ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს მოიპოვებენ, ასეთი კონტაქტები კი არ შეწყდება, პირიქით, კიდევ უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება.

საკონცერტო დარბაზებში

ერთი მშვენიერი საღამო

ამას წინათ, ეროვნული სიმფონიური ორკესტრის საკონცერტო აფიშაზე ორი ახალგაზრდა მუსიკოსის გვარების გამოჩენამ საკმაოდ ბევრი მსმენელი მიიზიდა თბილისის მუსიკის ცენტრის საკონცერტო დარბაზში.

ეს დაინტერესება გამოიწვია ორმა გარემოებამ: ჯერ ერთი, სრულდებოდა მუსიკის ორი დიდი რომანტიკოსის — რობერტ შუმანისა და ფერენც ლისტის სიმფონიურ-საფორტეპიანო შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები: შუმანის №4 სიმფონია, ლისტის №2 საფორტეპიანო კონცერტი (ხოლისტი მისეულ ჰუმშურიძე) და ამავე ავტორის სიმფონიური პოემა „პრელუდიები“; ხოლო მეორე გარემოება, რომელმაც უფრო მეტად დაინტერესა იქ მყოფნი, იყო ის, რომ ხადირიჟორო პულტთან იდგა გერმანიაში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი ალექსანდრე გელოვანი.

თბილისელი მუსიკის მოყვარულნი მოწმენი გახდნენ მეტად საყურადღებო სიმფონიური კონცერტისა.

ცნობილია, რომ შუმანის IV სიმფონია ერთ-ერთი საუკეთესოა მის ოთხ სიმფონიათაგან. იგი შეიქმნა 1841 წელს, №1 (საგაზაფხულო) სიმფონიის შექმნისთანავე. 1851 წელს დაიწერა სიმფონიის ახალი რედაქცია და იმავე წლიდან ცნობილი გახდა როგორც შუმანის №4 სიმფონია, რადგან განვლილ პერიოდში, დიდ გერმანელს, სხვა ჟანრის ნაწარმოებებთან ერთად, კიდევ ორი სიმფონიის შექმნა მოესწრო. ამ ნაწარმოებში მთელი სიმშვენიერით გამობრწყინდა შუმანის მუსიკის მთავარი მხარეები: სახეთა, პორტრეტულობა, სხარტი გამომსახველობა, პროგრამულობა და გრძნობათა ღრმა ფსიქოლოგიური გამომეღვენება, შეხამებული მჩქეფარე ვნებასთან, ჩვეული სიმძაფრითა და რომანტიკული ოცნებებით.

უნდა ითქვას, რომ თბილისში ეს ოთხნაწილიანი სიმფონია შედარებით იშვიათად სრულდება და რადგან სახიხარულო იყო ის ფაქტი, რომ კონცერტზე ახალგაზრდა დირიჟორმა ნაწარმოებს დიდი მონდომებითა და უაღრესად აკადემიურად უხელმძღვანელა! ეს არც არის გასაკვირი.

როდესაც 1970 წელს თბილისში მცხოვრები გელოვანების ოჯახი საცხოვრებლად დასავლეთ ბერლინში გადავიდა, ალექსანდრეს უკვე დამთავრებული ჰქონდა თბილისის მეორე სამუსიკო სკოლა. ბერლინში ალექსანდრე წარმატებით ამთავრებს ი. შტერნის სახელობის მუსიკალური ინსტიტუტის საფორტეპიანო განყოფილებას, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, იმავე ბერლინის კონსერვატორიის — დირიჟორობის განხრით. კონსერვატორიაში, ალექსანდრე გელოვანს ხელმძღვანელი იო ხახელგაძეთქმული დირიჟორი ბერბერტ ალენდორფი. იგი ამჟამად თავკაცობს ლეგენდარული ბერბერტ ფონ კარაიანის სახელობის ბერლინის აკადემიას.

...კარაიანი!!!

მუსიკის ამ ტიტანის გვარის ხსენება, ალექსანდრეს დაუფარავ კმაყოფილებას იწვევს. ბერლინში მას იმის შესაძლებლობაც კი ჰქონია, რომ ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ამ კორიფეთან. ალექსანდრე უდიდესი მღელვარებით იგონებს მასთან გატარებულ დროს.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ, როდესაც მაესტროს შეუმჩნევია ახალგაზრდა ქართველი დირიჟორის უსაზღვრო შრომისმოყვარეობა, მას ოფიციალურად, წერილობითი ბრძანებაც კი გაუცია ალექსანდრე გელოვანის სახელზე, რომლითაც ახალგაზრდა დირიჟორს ნება ეძლეოდა დასწრებოდა პერბერტ ფონ კარაიანის ნებისმიერ რეპეტიციას!

მშობლიურ თბილისში ჩამოსულმა ა. გელოვანმა ამავე კონცერტზე უდირიჟორა ფერენც ლისტის №2 საფორტეპიანო კონცერტს, რომლის ხოლისტად მოგვევლინა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხოლისტი, ნიჭიერი პიანისტი მისეულ ჰუშურიძე. ამ მუსიკოსს ბავშვობიდან ვიცნობ. დაწყებული თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების I კლასიდან, ვიდრე კონსერვატორიის ბოლო, V კურსის ჩათვლით. მ. ჰუმშურიძის მასწავლებელი გახლდათ შესანიშნავი მუსიკოსი და პედაგოგი, არაერთი კარგი ხელოვანის აღმზრდელი, პროფესორი ნელი გაჩეჩილაძე. მ. ჰუმშურიძის დაკვრა, მსმენელს, უწინარესად, იზიდავს ბგერის სინატიფითა და მუსიკალური აზრის ფრაზირების ხრულქმნილებით. იმ სალამოს შესრულების ეს თვისებანი მკაფიოდ გამომჟღავნდა გენიალური ლისტის დიდებული ქმნილების აეღერების დროს, სადაც მუსიკალური რომანტიზმის იდეა ნათლად გამოიკვეთა მთელ ნაწარმოებში.

კონცერტის დამაგვირგვინებელი იყო ლისტისავე სიმფონიური პოემა „პრელუდიების“ ერთობ ამალლებულად შესრულება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს ეროვნული აკადემიური სიმფონიური ორკესტრის მაღალ პროფესიულ დონეზე გამოსვლა, რაც, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, კოლექტივისათვის ხანგრძლივ სამუშაო სამუშაო პირობების შექმნამაც გამოიწვია.

დღევანდელი საქართველოს ახალგაზრდობის ჟღმარიტმა ნიჭმა სამართლიანად დაიმსახურა შემოქმედების ფართო ასპარეზი. ამის ნათელი მაგალითი იყო თბილისის მუსიკის ცენტრში გამართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

ალექსი შანიძე.
კომპოზიტორი.

* * *

სურათებზე: უკრავს მიხეილ ჰუმშურიძე; პულტთან არის დირიჟორი ალექსანდრე გელოვანი.

ჯავარ ლოგაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ცხოვრებაშვილი

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, ხკკმ წევრი 1928 წლიდან, სამთო ინჟინერი, რეპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გიორგი გედევანის ძე ცხოვრებაშვილი.

დაბადა 1908 წელს ქ. გორში მუშის ოჯახში. მუშობდა მუშად მშენებლობებზე, 1930 წლიდან იმყოფება სხვადასხვა კომკავშირულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1937 წლიდან გ. ცხოვრებაშვილი გადაყვანილი იქნა პარტიულ სამუშაოზე. იყო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი. დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან იგი პოლიტმუშაობა დაბავშვეთისა და კავკასიის ფრონტებზე, მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ — კვლავ პარტიულ სამუშაოზეა.

ბენსაზე გასვლამდე და მას შემდეგ იგი მუშობდა სხვადასხვა პროფკავშირულ სამუშაოზე, ჯილდოებული იყო ორდენებითა და მრავალი მედლებით.

გ. ცხოვრებაშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და თანამშრომლების გულებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

რამზეს ჩალაური

გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების უფროსი, საპატიო თანამშრომელი, პოლკოვნიკი რამზეს შალვას ძე ჩალაური.

დაიბადა 1934 წელს თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის საშუალო სკოლა, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის კომიტეტის უმაღლესი სახწავლებელი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1953 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის კომიტეტის სისტემაშია, სადაც განვლო გზა რიგითი თანამშრომლიდან განყოფილების უფროსამდე. რამზეს ჩალაურს ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი, მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. იგი გამოირჩეოდა ბუმანაზმით, პატიოსნებით, სამშობლოსა და ერის საქმისადმი ერთგულებით. რ. ჩალაური არჩეული იყო თბილისის სახალხო სასამართლოს მოსამართლედ, ეროვნული დეპუტატად, როგორც კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, იგი დაფუძნებულ ავად ბერძოდა რეპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში განხორციელდა 30-40-50-იან წლებში უსამართლოდ რეპრესირებულთა მიმართ სამართლიანობის აღდგენისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რ. ჩალაური დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

სამაგალითო მოქალაქის, ერთგული მეგობრისა და ბეჯმარიტი პატრიოტის, ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომიტეტის კოლეგიები.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
ნოდარ ჯაველიძე.

უცხოეთთან გაიოლებულმა ურთიერთობამ ახალი საზრუნავი გაუჩინა ტურიზმისა და ეკსკურსიების რესპუბლიკურ სახეზოს. საზღვარგარეთ მოგზაურობის მსურველთა რიცხვმა ერთიანად იმატა.

**ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ტურიზმისა და